ხელშეკრულება № 188

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ტყიბული

27 ნოემბერი 2018 წელი

ერთი მხრივ, ს.ს.ი.ტ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის თემურ ჩუბინიძის სახით (რეკვიზიტები: მის. ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი #3, საიდენთიფიკაციო კოდი 219636259, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში)

მეორე მხრივ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა" წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის რამაზ ქვათაძის სახით (რეკვიზიტები: მის. ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ .N9, საიდენთიფიკაციო კოდი 204931654, მომსახურე ბანკი ს.ს. „თიბისი ბანკი", ბ.კ.TBCBGE22 ა.ა.GE76TB7164636080000002)

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს "შემსყიდველმა ორგანიზაციამ" „მიმწოდებლს", „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს მომსახურების მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულებისმე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

მუხლი2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1 წინამდებარე ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს დომენური სახელის tkibuli.ge დროებით სარგებლობაში გადაცემა და შემსყიდველის სახელზე რეგისტრაცია. (შემდგომში "მომსახურება").

2. CVP კლასიფიკატორის კოდი 72417000 (დომენური სახელები)

მუხლი 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 30,00 (ოცდაათი) ლარს.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

მუხლი 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და

საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.
3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ ჩუბინიძე.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1 „მიწოდებულისაგან" მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა
2. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
3. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს ნუნდების მიზეზების მითითებით.
3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.
2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.
3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 27 ნოემბრიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

მხარეთა ხელნაწერები

ს.ს.ა.ა. ტყიბულის მუნიციპალიტეტი
მუნიციპალიტეტის მერი თემურ ჩუბინიძე _____

საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა"
აღმასრულებელი დირექტორი რამაზ ქვათაძე _____

ინფორმაცია

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეკრულების შესრულების

კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირის

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ.ტყიბული

27 ნოემბერი 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ მითითებული პირი ხელისმოწერით ადასტურებს, რომ დომენური სახელის tkibuli.ge დროებით სარგებლობაში გადაცემა და შემსყიდველის სახელზე რეგისტრაციის მოწოდების მიზნით საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა"-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი: თემური ჩუბინიძე

შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური

უზრუნველყოფის განყოფილების მე-2 რანგის მეორადი

სტრუქტურული ერთეულის უფროსი: ჯონდო ქასრაშვილი